ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის ოქტომბრის 15.	№ 9. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 489. სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 490. სტუდენტ-პრაქტიკანტებისათვის სპეციალობის ტანისამოსის მიცემის შესახებ.

„ 491. შრომის კანონდებულებათა და განკარგულებათა შესახებ, რომელთა დარღვევისათვისაც დამქირავებელნი შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ადმინისტრატიულის წესით.

„ 492. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მოგებიდან ანარაცის გადადების შესახებ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდში.

„ 493. წყლის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთათვის ავარიის დროს დაკარგული ნივთების ანაზღაურების შესახებ.

„ 494. ცხოველთა უმი პროდუქტების ნორმალური შეფასების შესახებ.

„ 495. სსრკ შრომის სახ. კ—ტის 1925 წ. ივნისის 20-ს დადგენილების ა/კ. რკ. გზ. გავრცელების შესახებ და ა/კ. ცენ. აღმ. კ—ტისა და ა/კ. სახ. კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 27-ს დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 496. დაწესებულებაში და საწარმოში მუდმივად მომუშავე სტენოგრაფების სამუშაო დროისა და შვებულების შესახებ.

„ 497. სასასწერე გამოსაღების შესახებ.

„ 498. ნედლი სპირტის სარეკტიფიკაციო ფასის შესახებ.

„ 499. არა-სალიკვიდო ფონდების რეალიზაციისა და აღნუსხვის წესის შესახებ და არა-სალიკვიდო ქონების რეალიზაციის ბიუროს მიწყობის შესახებ.

დადგენილება № 44 აკ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

489. სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სსრ ბის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ 1925 წ. ივნისის 30-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების მიღების გამო (სსრ-ბის კავშ. ცენ. აღმ. კ—სა და სახ. კომ. საბ. „იზვესტია“-ს 168 №-რი 1925 წ. ივლისის 25-სა), რომელ დადგენილებასაც აქვს საერთო-საკავშირო მნიშვნელობა, ა/კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნეს ა/კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 17-ს თარიღისა და 54 №-რის დადგენილება „სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (ა/კ. ს.ფ.ს.რ. კანონთა კრ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 123).

ა/კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აგვისტოს 20.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 967 №-ში 1925 წ. სექტემბრის 3-ს.

განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. სექტემბრის 3.

490. სტუდენტ-პრაქტიკანტებისათვის სპეციალობის ტანისამოსის მიცემის შესახებ.

სტუდენტ-პრაქტიკანტებისთვის სპეციალობის ტანისამოსის მიცემის შესახებ წარმოშობილ გაუგებრობის გამო ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

სტუდენტ-პრაქტიკანტებისათვის შეფარდებულ უნდა იქნეს ს.ს.რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „სასეზონო და დროებითი მუშების სპეციალობის ტანისამოსის შესახებ“ 1923 წ. სექტემბრის 24-ს თარიღითა და 88 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის მოქმედება (გამოქვ. „შრომის მომქმედი კანონმდებლობის“ კრებულში, 1925 წ. გამოც., მუხ. 334), რომლის თანახმადაც დროებითი მუშა მიიღებს სპეციალობის ტანისამოსს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნორმით, გარდა იმ შემთხვევისა, უკეთუ მუშაობის ხანგრძლივობა ორკვირას არ აღემატება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

შრომის დაცვის განყოფ. გამგის მაგიერ **ნ. ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 969 №-ში 1925 წ. სექტემბრის 5-ს.

დადგენილება № 56 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. აგვისტოს 29.

491. შრომის კანონდებულებათა და განკარგულებათა შესახებ, რომელთა დარღვევისათვისაც დამქირავებელნი შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ადმინისტრატიული წესით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის აგვისტოს 13-ს თარიღისა და 43 №-რის დადგენილების 1 მუხლის შენიშვნის თანახმად, რომელი დადგენილებაც შეეხება „შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემის წესს სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემულ დადგენილებათა აღსრულებლობისათვის“ (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 962 №-ში 1925 წ. აგვისტოს 28-ს), ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი, ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რწმუნებულთან (ამიერკავკასიაში) და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული იმ შრომის კანონდებულებათა და განკარგულებათა „ნუსხა“, რომელთა დარღვევისათვისაც დამქირავებელნი შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ადმინისტრატიულის წესით.

შენიშვნა. ის სამართლის დარღვევანი საფრთხისაგან უზრუნველმყოფ ტეხნიკასა და სარეწავი სანიტარიის სფეროში, რისთვისაც დამქირავებელნი შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ადმინისტრატიულის წესით, აღნიშნულია სპეციალურ ნუსხაში, რომელიც დამატებით გამოიცემა.

2. ნუსხაში ჩამოთვლილ შრომის კანონდებულებათა და განკარგულებათა დარღვევისათვის, საპროკურორო ზედამხედველობის მოთხოვნით ან შრომის ინსპექციის შეხედულებისამებრ, დამქირავებელნი შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი აგრეთვე სასამართლოს წესით იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ ამ დარღვევეთ დაქირავებულისათვის მიყენებულია თვალსაჩინო ნივთიერი ზიანი;

ბ) უკეთუ დარღვევა ჩადენილია მშრომელთა ჯგუფის მიმართ;

გ) უკეთუ ესა თუ ის შრომის კანონდებულება ან განკარგულება დარღვეულია დამქირავებლის მიერ განმეორებით.

3. ამა დადგენილების გამოცემამდე ნუსხაში ჩამოთვლილ შრომის კანონდებულებათა და განკარგულებათა დარღვევისათვის, აგრეთვე ყველა სხვა კანონდებულებისა და განკარგულების დარღვევისათვის, რაც ნუსხში შეტანილ არ არის, დევნა აღძრულ უნდა იქნეს სასამართლოს წესით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახ. კომისრის მაგიერ **ს. გოდაბრელიძე.**

ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის
უმაღლესი საბჭოს რწმუნებული ამიერკავკასიაში **კაცნელსონი.**

შეთანხმებულია: ა/კ. პროფეს. კავშ. საბჭოს თავმჯდომარე **სემკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

შრომის კანონდებულებათა და განკარგულებათა, რომელთა დარღვევისათვისაც დამქირავებელნი შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ადმინისტრატიულის წესით.

I. შრომის ხელშეკრულების შესახებ.

1. მუხ. 29 შრომის კანონთა კოდექსისა (ანგარიშის გასწორების წიგნაკის სავალდებულო მიცემა) და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წლის ივლისის 23-ს თარიღისა და 107 №-რის დადგენილება „ანგარიშის გასწორების წიგნაკის შესახებ“ („შრომის მომქმედი კანონმდებლობის“ კრებული 1925 წ. გამოცემა, გვ. 74).

2. მუხ. 41 შრომის კანონთა კოდექსისა (დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ჩამორთმეული ვინაობის მოწმობის დაბრუნება).

3. მუხ. 42 შრომის კანონთა კოდექსისა (დამქირავებლის ვალდებულება—მისცეს ხოლმე დაქირავებულს მოწმობა, და აკრძალვა—ამ მოწმობაში პირობითი ნიშნების მოთავსებისა). ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. აპრილის 26-ს განმარტება („შრომის მომქმედი კანონმდებლობის“ კრებული, 1925 წ. გამოცემა, გვ. 82).

II. შინაგანი განრიგების წესების შესახებ.

4. მუხ. 50 შრომის კანონთა კოდექსისა (შინაგანი განრიგების წესების სავალდებულო დამყარება).

5. მუხ. 54 შრომის კანონთა კოდექსისა (ის ნაწილი, რომელიც შეეხება შრომის ინსპექტორების მიერ შინაგანი განრიგების წესების დასამტკიცებლად წარდგენას).

III. შეგირდობის შესახებ.

6. პუნქტი მე-5 იმ წესებისა, რომელიც შეეხება შეგირდობას წვრილ ხელოსნობასა და შინამრეწველობაში და სარეწავ კოოპერაციაში (შეგირდთან ხელშეკრულობის დადება და ანგარიშის გასწორების წიგნაკის მიცემა), და რომელიც დამტკიცებულია ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1925 წ. იანვრის 19-ს თარიღითა და 13—307 №-რით, ხოლო გავრცელებულია ამიერკავკასიაზე ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. მარტის 3-ს თარიღისა და მე-15 №-რის დადგენილებით („შრომის მომქმედი კანონმდებლობის“ კრებული, 1925 წ. გამოცემა, გვ. 190).

IV. შრომის დაცვა.

7. მუხ. 138 შრომის კანონთა კოდექსისა (სასანიტარო-სატეხნიკო ინსპექციის დასტურის შესახებ ამა თუ იმ საწარმოს გახსნისა და სხვა შენობაში გადატანისათვის—მთლად ან ნაწილობრივ).

8. მუხ. 145 შრომის კანონთა კოდექსისა (საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მოვალეობის შესახებ—შრომის მომქმედი დადგენილებების გამოფენისა და სავალდებულო დავთართა წარმოებისათვის):

ა) ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 112 №-რის დადგენილების მე-10 მუხ., რომლითაც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ზე გავრცელებულია ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 115 №-რის დადგენილება „იმ დავთართა სავალდებულო წარმოების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია შრ. კანონთა განხორციელებასთან“ („შრომის მომქმედი კანონმდ“ კრებული, 1925 წ. გამოც.,გვ. 349);

ბ) ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრ. აღმ. კ-სა და სახ. კომ. საბჭოს 1923 წ. თებერვლის 26-ს დადგენილება „სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა მოვალეობის შესახებ—იქონიონ შრომის შეფარდების მომწესრიგებელი დეკრეტები და დადგენილებანი“ („შრომის მომქ. კანონმდ.“ კრებული, 1925 წ. გამოც., გვ. 348).

9. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. მარტის 11-ს თარიღისა და მე-18 №-რის დადგენილება „ა/კ. ს. ფ. ს. რ-ზე ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „უბედურ შემთხვევათა რეგისტრაციის შესახებ“ 1925 წ. თებერვლის 18-ს თარიღითა და 44—321 №-რით გამოცემულ დადგენილებათა გავრცელების თაობაზე“ („შრომის მოშქმედი კანონმდ.“ კრებ., 1925 წ. გამოც. გვ. 305).

10. ა/კ. შრომის სახ. კ-ტის 112 №-რის დადგენილების მე-12 მუხ., რომლითაც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ზე გავრცელებულია: ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა და რსფსრ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის 1924 წ. მარტის 1-ს თარიღისა და 95—346 №-რის დადგენილება „პროფესიის ნიადაგზე მოწამვლისა და ავადგახდომის თაობაზე სავალდებულო შეტყობინების შესახებ“ და ს. ს. რ ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების 1924 წ. მაისის 27-ს ცირკულიარი „ს. ს. რ-ბის კავშირის შრ. სახ. კ-ტისა და რსფსრ ჯანმრთელობის სახ. კ-ტის 1924 წ. მარტის 1-ს თარიღისა და 95—346 №-რის დადგენილების განხორციელების წესის შესახებ“ („შრომის მომქმ. კანონმდ.“ კრებ., 1925 წ. გამოცემა, გვ. 315—316).

V. სოციალური დაზღვევა.

11. ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1924 წ. იანვრის 11-ს თარიღისა და 104 №-რის ცირკულიარი „სოციალური დაზღვევის გადასახადის შენატანთათვის საკონტროლო დავთრის შემოღების შესახებ“ („შრომის მომქმ. კანონმდ.“ კრებ., 1925 წ. გამოც., გვ. 440)

12. ა/კ. შრ. სახ. კ-ტის მიერ „სოციალური დაზღვევის მონაწილე საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდევინების წესის შესახებ“ 1924 წ. იანვრის 9-ს თარიღით გამოცემული ცირკულიარის მე-14 მუხლის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ანგარიშის გასწორების ნუსხათა დაწესებულ ვადაზე სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანოებში წარდგენას („შრომის მომქმ. კანონმდ.“ კრებ., 1925 წ. გამოც., გვ. 427).

VI. საერთო საკითხები.

13. მუხ. მე-10 შრომის კანონთა კოდექსისა (საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის მოვალეობა—სამუშაო ძალის თაობაზე ცნობების მიწოდების შესახებ):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ა/კ. ს. ფ. ს. რ. საკავშირო საბჭოს 1922 წ. ოქტომბრის 14-ს თარიღისა და 45 №-რის დადგენილება (იმ ცვლილებებითურთ, რაც შეტანილ იქნა ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. თებერვლის 15-ს თარიღისა და მე 10 №-რის დადგენილებით) „შრომისა, სამუშაო დროისა და შრომის ხელფასიის აღნუსხვის შესახებ ამიერკავკასიაში“ („შრომის მომქმ. კანონმდ.“ კრებ., 1925 წ. გამოცემა, გვ. 509).

ბ) ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 19-ს თარიღისა და 52 №-რის დადგენილება და ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1924 წ. ოქტომბრის 18-ს თარიღისა და 123 №-რის დადგენილება „დაწესებულებათა და საწარმოთა პერსონალის რაოდენობისა და შრომის ხელფასის აღნუსხვის შესახებ“ („შრომის მომქმ. კანონმდ.“ კრებ., 1925 წ. გამოცემა, გვ. 510),

გ) ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღისა და მე-2 №-რის დადგენილება „შრომის სტატისტიკური ცნობების თავის დროზე წარდგენის შესახებ“ („შრომის მომქმ. კანონმდ.“ კრებ., 1925 წ. გამოც., ვვ. 512).

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 971 №-ში 1925 წ. სექტემბრის 8-ს.

დადგენილება № 45 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

492. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მოგებიდან ანარიცხის გადადების შესახებ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდში.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღისა და მე-3 №-რის დადგენილების დასამატებლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი კომუნალური საწარმონი (ტრამვაი, წყალსადენი და სხვ.), აგრეთვე ასეთ საწარმოთა სამეურნეო შენაერთი, წლიური ბალანსის დამთავრებისა და ამორტიზაციის დაფარვის შემდეგ, გადარიცხავენ წმინდა მოგებიდან არა უმეტეს 10%-სა თავიანთ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათათვის.

2. ანარიცხის რაოდენობა და წარმოების წესი განისაზღვრება თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და მე-18 №-რის დადგენილებისა „კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განა-

წილების წესის შესახებ.“—(კანონთა კრებული 1925 წლის მე-4 №-რი, მუხ 411).
3. ანარიცხის წარმოება დაიწყება 1924—1925 საბიუჯეტო წლიდან.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

1925 წ. სექტემბრის 10. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 980 №-ში სექტემბრის 18-ს.

დადგენილება № 60 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. სექტემბრის 12.

493. წყლის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთათვის ავარიის დროს დაკარგული ნივთების ანაზღაურების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახლხო კომისარიატი ადგენს:

1. წყლის ტრანსპორტის მუშასა თუ მოსამსახურეს, რომელიც ავარიისა, სტიქიური უბედურობისა და სხვა უბედური შემთხვევის დროს დაჰკარგავს ცურვის პირობებში ნამეტნავად საჭირო ტანისამოსს ან სხვა თავისთან ქონებულ ნივთს, აენაზღაურება მისი კუთვნილი დაკარგული ან უვარგისად ქცეული ქონების ღირებულება.

2. ქონების დაკარგვის ფაქტი და გარემოება, აგრეთვე დაკარგული ნივთების ღირებულება და ასანაზღაურებელი ფასის რაოდენობა განისაზღვრება შრომის სასამართლოს მიერ ცურვის დროს საჭირო ნივთების მიხედვით (ტანისამოსი, თეთრეული და ლოგინი).

3. უკეთუ ტანისამოსი ან ნივთი სრულიად უვარგისი იქნება, კომპენსაციას გაიღებს დამქირავებელი ნატურით ან ფულად—ბაზრის ფასის მიხედვით.

4. უკეთუ ნივთი ნაწილობრივ იქნება უვარგისი, კომპენსაცია გაიცემა ფულად—ბაზრის ფასის მიხედვით და იმის მიხედვით, თუ რამდენად უვარგისია ნივთი.

ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარი **იაკუბოვი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
საორგანიზ. განყ. გამგის მაგიერ **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 980 №-ში 1925 წ. სექტემბრის 18-ს.

დადგენილება № 52 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. სექტემბრის 14.

494. ცხოველთა უმი პროდუქტების ნორმალური შეფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების დარღვევის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ“ 1925 წ. მაისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, რათა გლეხობას გაუადვილოს მისი მეურნეობის პროდუქტების გასაღება, ადგენს:

1. ცხოველთა უმი პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული გასინჯვისათვის გამოსაღების გადახდევინების დროს („ადგ. ფინ. დრ. დებ. 75 და 76 მუხ.) ყველა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი უკიდურესი ფასები:

ა. ტ ყ ა ვ ი.

ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და კამეჩის ახალი (გამოუქნელი) ტყავი ფუთი—8 მან.

ბ) ცხენისა—3 მან.

გ) წვრილფეხა რქოსანი საქონლისა (თხა, ცხვარი, ბატკანი) ფუთი 12 მან.

დ) კვერნისა ცალი—20 მან.

ე) მელისა—5 მან.

ბ. ჯ ა გ ვ ა რ ი.

ა) გაუწმენდავი ფუთი—80 მან.

ბ) გაწმენდილი—240 მან.

გ. მ ა ტ ყ ლ ი.

მატყლი ფუთი 10 მანეთი.

დ. ნ ა წ ლ ე ვ ი.

ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა ფუთი—8 მან.

ბ) ცხვრისა სველად-დამარილებული ფუთი—24 მან.

ე) რქა, ჩლიქი და ძვალი—2 მან.

ვ) ქონი—10 მან.

2. ამა წლის ოქტომბრის 1-დან გაუქმებულია ცხოველთა უმი პროდუქტების ყველა, რესპუბლიკებში არსებული, ნორმალური შეფასება, კომისიების მიერ დაწესებული თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალ. აღმ. კ—ტის 1924 წ. მარტის 10-ს დადგენილებისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. მე-3 №-რი, მუხლი 57).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო
კომისარიატის საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 981 №-ში 1925 წ. სექტემბრის 19-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

495. ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. ივნისის 20-ს დადგენილების ა/კ. რკინის გზებზე გავრცელების შესახებ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 27-ს დადგენილების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გავრცელებულ იქნეს ამიერკავკასიის რკინის გზებზე ს. ს. რ-ბის შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივნისის 20-ს დადგენილება: „რკინის გზების აგენტებისათვის კატასტროფების საქმეთა გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ."

2. იმ ორგანოდ, რომელიც გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას აღნიშნული დადგენილების მე-2 ნაწილის მე-4 მუხლის წესისამებრ, აღიარებულ იქნეს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი.

3. გაუქმებულ იქნეს ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 27-ს დადგენილება „ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფულ შემთხვევებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ" (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკ. კრებ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 414)

ამიერკავკასიის ცენტ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. სექტემბრის 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ს. ს. რ-გის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ივნისის 20 № 179—525.

რკინის გზების აგენტებისათვის კატასტროფების საქმეთა გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ.

1. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გამგებლობას ჩამოერთვას უფლება იმ აგენტების დანაშაულობრივობის ხარისხის განსაზღვრისა და მათთვის გადასახდელის დადებისა, რომელნიც დამნაშავედ იქნებიან ცნობილნი კატასტროფაში ქვემო აღნიშნულ პირობების მიხედვით.

შენიშვნა. კატასტროფად იგულისხმება ისეთი შემთხვევა, რომელიც მოძრაობის დროს გამოიწვევს მოძრაობის საგანთა შედგენილობისა და გზის გაფუჭებას ან გზის მომუშავეთა თუ მგზავრთა დაზიანებას.

2. დროებითი ღონისძიებისამებრ უფლება მიეცეს გზის ადმინისტრაციას (გზათა სხალხო კომისარიატის რწმუნებულისა და რკ. გზის გამგეობის თავმჯდომარის სახით) დაადოს კატასტროფის საქმეში დამნაშავეს გადასახდელი, უკეთუ რკინის გზის გამგეობასთან არსებული კატასტროფული შემთხვევების გამომკვლევი საგზაო კომისიის მიერ მიღებულ იქნება ერთხმივი გადაწყვეტილება ფაქტისა და უწყებული შემთხვევის თანამოზიარე აგენტის დანაშაულობის ხასიათის შესახებ.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად ადმინისტრაციას შეუძლიან, თავისი პასუხისმგებლობით, დაადოს დამნაშავეს, კატასტროფისა და დანაშაულობის ხასიათის მიხედვით, სათანადო გადასახდელი იმ გადასახდელთა შორის, რაც გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წლის მარტის 13 ს დამტკიცებულ „რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოთა და დაწესებულებათა შინაგანი განრიგების წესების დამატებაში“ („ВСП“ ოფიციალური განყ., 1923 წლ. 183 №-რი).

4. უკეთუ ამა დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად გადასახდელ მისჯილი აგენტი უკმაყოფილო იქნება, მას უფლება აქვს განასაჩივროს მისთვის შეფარდებული გადასახდელი შემდგომი განსაჩივრების წესით. აღნიშნული საჩივარი განიხილება საპარიტეტო კომისიაში, რომელიც შესდგება რკინ. გზის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელთაგან.

უკეთუ ზემოაღნიშნულ კომისიაში შეთახხმება ვერ იქნა მიღწეული ან დამნაშავე აგენტი უკმაყოფილო იქნება კომისიის გადაწყვეტილებით, საკითხი, უწყებული რკინის გზის შრომის უფროსი ინსპექტორის მეშვეობით, გადაიტანება მოკავშირე რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დადგენილება ესე გავრცელდება იმ კატასტროფებზე, რომელიც მოხდება 1925 წლის ივნისის 1-ს შემდეგ.

ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის
სახალხო კომისარი **შმიდტი.**

შრომის სახალხო კომისარიატის სატარიფო-საკონფლ.
განყოფილების გამგის მაგიერ **კორშუნოვი.**

შეთანხმებულია: { სრ. რუს. პრ. კავშ. ცენ. საბჭო—**ვლადიმიროვი.**
გზათა სახალხო კომისარი—**რუდუტაკი.**
რკინისგზელთა ცენტრ. კომ.—**კალაშნიკოვი.**

გვმოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 982 №-ში 1925 წ. სექტემბრის 20-ს

დადგენილება № 61 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. სექტემბრის 19.

496. დაწესებულებაში და საწარმოში მუდმივად მომუშავე სტენოგრაფების სამუშაო დროისა და შვებულების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე სსრ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის ა/წ. სექტემბრის 4-ს თარიღისა და 232/388 №-რის დადგენილება „დაწესებულებაში და საწარმოში მუდმივად მომუშავე სტენოგრაფების სამუშაო დროისა და შვებულების შესახებ",—შემდეგი ცვლილებით:

1. მე-III მუხლის პირველი ნაწილი სსრ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული დადგენილებისა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წ. თებერვლის 11-ს თარიღისა და 85 №-რის დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ პროფესიებისას, რომელიც ფიზიკურ შრომის თანაბრად ანიჭებს 8 კვირის შვებულების უფლებას მშობიარობამდე და მშობიერობის შემდეგაც" (ა/კ. შ. ს. კ. „იზვესტია"-ს 1924 წ. მე-7 №-რი და „შრომის მომქმ. კანონმდ." კრებული, გამოც. 1925 წ., მუხ. 212) დაემატოს მე-16 პუნქტი.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
შრომის დაცვის განყ. გამგის მაგიერ **შახნაზაროვი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. სექტემბრის 4. № 232/388.

დაწესებულებაში და საწარმოში მუდმივად მომუშავე სტენოგრაფების სამუშაო დროისა და შვებულების შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები დაწესებულებაში და საწარმოში მუდმივად მომუშავე სტენოგრაფების სამუშაო დროისა და შვებულების შესახებ:

1. იმ სტენოგრაფისათვის, რომელიც სისტემატიურად აწარმოებს სხდომებისა და ლექციების ჩაწერას და სხვა ამგვარ ხანგრძლივ სამუშაოს, სამუშაო დრო დაწესდება ოცდა თექვსმეტი საათის რაოდენობით კვირაში. ამასთანავე თითო საათს სტეოგრამის ჩაწერისას ეთანადება ხუთი საათი გადასაშიფრებლად.

2. სტენოგრაფ-მეოქმესათვის სამუშაო დრო დაწესდება ოცდა თექვსმეტი საათის რაოდენობით. ამასთანავე თითო საათს სტენოგრამის ჩაწერისას ეთანადება თითო საათი გადასაშიფრებლად.

3. ვინიცობაა სტენოგრაფი არ შეასრულებს 1—2 პუნქტებში აღნიშნულ ნორმებს არა თავისი ბრალით, იგი ვაღდებული როდია ეს გაცდენილი დრო შემდეგ კვირაში შეავსოს. ხოლო ადმინისტრაციას ამ შემთხვევაში უფლება აქვს სათანადო საათებში გამოიყენოს სტენოგრაფი სხვა, საკონტორო ხასიათის, სამუშაოზე, უკეთუ იგი თვიურ გასამრჯელოს იღებს.

4. ის სტენოგრაფი, რომელიც წვრილ-წვრილ ჩაწერას აწარმოებს (სტენოგრაფი-მემინქანე, სტენოგრაფი მდივანი) იმუშავებს იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს დანარჩენ მომუშავეთა პირობებში, სადაც იგი მსახურობს.

5. დრო სმა-ჭამისათვის სტენოგრაფს მიეცემა იმ წესით, რაც განსაზღვრულთა მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ გამოცემულ დადგენილებებში.

II. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წლის ივნისის 28-ს თარიღისა და 279/781 №-რის დადგენილებით დამტკიცებული სიის მე-XV კარს (საბჭოთა და საზოგადოებრ. დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავენი), რომელი სიითაც გათვალისწინებულია ისეთი პროფესიები, რაც სამუშაოს განსაკუთრებული მავნებლობის გამო ანიჭებს მომუშავეს ორი კვირის დამატებითი შვებულების უფლებას (შრ. სახ. კ-ტის „იზვესტია“-ს 1923 წ. 23 და 24 №-რები *), დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„სტენოგრაფები, რომელნიც დაწესებულებასა თუ საწარმოში მუდმივ სამუშაოზე მეცადინეობენ და სისტემატიურად აწარმოებენ სხდომებისა და ლექციების ჩაწერას და ასეთსავე ხანგრძლივ სამუშაოს“

III. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ და 1920 წ. ნოემბრის 16-ს გამოქვეყნებულ „სიას იმ პროფესიებისას, რომელიც ფიზიკური შრომის თანაბრად ანიჭებს რვა კვირის შვებულების უფლებას მშობიარობამდე და

---

*) გავრცელებულია ა/კ. შრომის სახ. კ-ტის 92 №-რის დადგენილებით (ა/კ. შ. ს. კ. „იზვესტია“-ს 1924 წ. მე-8 №-რი და „შრომის მომქმედი კანონმდ.“ კრებული, მუხ. 165).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობიარობის შემდეგაც“ („სრ. რუს. ც. ა. კ. იზვესტია“-ს 257 №-რი 1920 წ. ნოემბრის 16-სა), დაემატოს მე-16 პუნქტი შემდეგი შინაარსისა.

„სტენოგრაფი-ქალები, რომელნიც დაწესებულებასა თუ საწარმოში მუდმივ სამუშაოზე მეცადინეობენ და სისტემატიურად აწარმოებენ სხდომებისა და ლექციების ჩაწერას და ასეთსავე ხანგრძლივ სამუშაოს ან სხდომების ოქმს (სტენოგრაფი-მეოქმე-ქალი).

სსრკ შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **ბახუტოვი.**

შრომის სახალხო კომისარიატის
შრომის დაცვის განყოფ. გამგის მოადგილე **მარკუსი.**

შეთანხმებულია სრ. რუს. პროფ. კავშ.
ცენტრ. საბჭოსთან **გინზბურგი.**

დედანთან სწორია:
ა/კ. შ. ს. კ. საქმისმწარმოებელი (ხელმონაწერი).

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 985 №-ში 1925 წ. სექტემბრის 24 ს.

დადგენილება № 55 აკ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. სექტემბრის 20

497. სასასწვრე გამოსაღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ადგილობრივ ფინანსთა დროებითი დებულების დარღვევის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ“ 1925 წ. მაისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ ყველა ქალაქში სასასწვრე გამოსაღების უკიდურეს განაკვეთად ორი კაპიკი.

2. უკეთუ საჭირო იქნება დაწესებული განაკვეთის შეცვლა—გადიდების მიზნით—აღმასრულებელი კომიტეტი თვითეულ ცალკე შემთხვევაში აღძრავს სათანადო შუამდგომლობას ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების წინაშე.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგ. **გამყრელიძე.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგ. **გენკინი.**

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპ. სახ. კომისრის მოადგ. **ხუმარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 985 №-ში 1925 წ. სექტემბრის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 54 ა/კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კ. სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

1925 წ. სექტემბრის 20

498. ნედლი სპირტის სარეკტიფიკაციო ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების დარღვევის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ“ 1925 წ. მაისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო ვომისარიატი და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენენ:

დაწესებულ იქნეს 1925/26 საბიუჯეტო წელს უკიდურესი ფასი გლეხების მიერ ჩაბარებული ნედლი სპირტის სარეკტიფიკაციოდ თითო გრადუსზე 2 კაპიკი ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული ყველა ქარხნისათვის.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **გენკინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 985 №-ში 1925 წ. სექტემბრის 24-ს.

დადგენილება № 46 ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

499. არა-სალიკვიდო ფონდების რეალიზაციისა და აღნუსხვის წესის შესახებ და არა-სალიკვიდო ქონების რეალიზაციის ბიუროს მოწყობის შესახებ.

ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის დებულების მე-2 მუხ „ა“ და „ბ“ —ის პუნ. დამატებისა და განვითარებისათვის ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. არა-სალიკვიდო ფონდების აღნუსხვის უშუალო ხელმძღვანელობა და რეალიზაციის მოწესრიგება დაეკისროს „არა-სალიკვიდო ქონების რეალიზაციის ბიუროს“

2 ბიურო მოეწყოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ან სათანადო სახალხო კომისარიატთან შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან:

ა) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ან სათანადო სახალხო კომისარიატისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პროფესიონალური კავშირისა (მრეწველობის სათანადო დარგისა);

გ) საფონდო კომისიისა (ამიერკავკასიისა ან რენპუბლიკანურისა—კუთვნილებისამებრ;

დ)ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

3. საერთო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ბიუროს მოქმედებისათვის დაეკისრება ამიერკავკასიისა და რეპუბლიკანურ საფონდო კომისიასკუთვნილებისამებრ.

4. ბიუროს დაეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს საწარმოთა და დაწესებულებათა მოქმედებას არა-სალიკვიდო მატერიალური ფასეულობისა და ქონების აღრიცხვისა და რეალიზაციის საქმეში;

ბ) მოაწყოს არა-სალიკვიდო ფონდების ცენტრალიზაციაქმნილი რეალიზაცია;

გ) მეთვალყურეობა იქონიოს რეალიზაციით მისაღები თანხების თავის დროზე შემოსვლისა და განაწილებისათვის;

დ) წარადგინოს საფონდო კომისიაში გეგმა ფონდების ლიკვიდაციის სფეროში მუშაობისა, საჯუმლო ნუსხები და აღნუსხვისა და რეალიზაციის მსვლელობის ანგარიში, აგრეთვე რეალიზაციით მისაღები თანხების შემოსვლისა და განაწილების ანგარიში.

5. არა-სალიკვიდო ფონდების რეალიზაციით მიღებული თანხებიდან—სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით:

ა) 50% შევა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სათანადო სახალხო კომისარიატის განკარგულებაში საბრუნავი და ძირითადი თანხების გასადიდებლად;

ბ) დანარჩენი 50%-ით მოეწყობა სპეციალური ფონდი, რომელიც მოხმარდება ძირითადი და საბრუნავი თანხების გაძლიერების საქმეს სათანადო ეკონომიური საბჭოს დადგენილებით.

ა/კ. სუსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. სუსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სისახლე. 1925 წ. სექტემბრის 17.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 988 №-ში 1925 წ. სექტემბრის 27-ს

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პრ. № 91.

მთავარლიტი № 1771. შეკვ. № 743/168. დაიბეჭდა 1500.